

ნაირა ზირსალაძე

ე.ა.დ., ქუთაისის უნივერსიტეტის და აკაკი
წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**საქართველოს სოფლის მეურნეობის
ბანკოთარების ზოგიერთი ასპექტები**

სოფლის მეურნეობა მატერიალური წარმოების უძველესი დარგია. მას გადამწვევტი როლი ენიჭება მრეწველობის ნედლეულით, ხოლო მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის საქმეში. ეკონომიკის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, სოფლის მეურნეობა, სპეციფიკური დარგია, რაც განპირობებულია წარმოების პროცესზე ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედებით. სოფლის მეურნეობაში კვლავწარმოების პროცესი საზოგადოებისა და ბუნების კანონების ერთობლივი ზემოქმედებით წარიმართება და წარმოების შედეგები მერყეობს წლების მიხედვით ჩამოყალიბებული კლიმატური პირობების მიხედვით, რაც მეურნეობის გაძღოლაში სტიქიურ ელემენტებს წარმოშობს. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე არახელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების ზემოქმედების წინააღმდეგ გამოიყენება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, ეკონომიკური, ორგანიზაციული და სხვა ბერკეტები, მაგრამ მისი მთლიანი აღმოფხვრა საერთოდ შეუძლებელია.

საქართველო ტრადიციული აგრარული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მას ყოველთვის საკმარისი რესურსი გააჩნდა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილიც ამ სფეროში იყო დასაქმებული. დღეს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა ძალიან მძიმე, კრიზისულ მდგომარეობაშია. შესაბამისად, მძიმე მდგომარეობაშია სოფლის მოსახლეობაც. ხელისუფლების მხრიდან სოფელი განსაკუთრებულ ყურადღებას და დახმარებას მოითხოვს. ამ დარგის აღორძინებაში თავისი ღირსეული წვლილი უნდა შეიტანოს მეცნიერ-ანალიტიკოსებმა. ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური საკითხების კომპლექსური დამუშავების საფუძველზე მათ უნდა უზრუნველყონ აგრარულ სექტორში არსებული მდგომარეობის რეალური შეფასება, მომავლის პერსპექტივების განსაზღვრა და ამოქმედება.

სოფლის მეურნეობისათვის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა დარგისათვის, განმსაზღვრელს წარმოადგენს წარმოების ფაქტორები. მათი მდგომარეობის მიხედვით ქვეყანაში ძირითადად შეიძლება არსებობდეს სამი ასეთი სიტუაცია: პირველი, როდესაც წარმოება სტაბილური, მყარია და საბაზისო რესურსები არა მხოლოდ მარტივი, არამედ გაფართოებული კვლავწარმოების საშუალებას იძლევიან. მეორე, როდესაც მდგომარეობა კრიზისულია და საბაზისო რესურსული ფაქტორები უკვე ვერ უზრუნველყოფენ მარტივ კვლავწარმოებასაც კი, რაც ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ვერ პასუხობს მოთხოვნებს როგორც ფიზიკური, ისე მორალური ცვეთის გამო, ხოლო ახლის შექმნა ვერ ხერხდება. მესამე, როდესაც გახანგრძლივებულია კრიზისული მდგომარეობა, რაც საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლით კი არ არის გამოწვეული, არამედ ამ უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროცესისადმი არათანმიმდევრული, არასწორი მიდგომითა და განხორციელებით. სწორედ ეს უკანასკნელი არის დღევანდელი

საქართველოს სოფლის მეურნეობის ბანკოთარების ზოგიერთი ასპექტები

საქართველოს სოფლის მეურნეობის კრიზისული მდგომარეობის ძირითადი მიზეზი. აღსანიშნავია, რომ ჩვენს ქვეყანაში აგრარული რეფორმა განხორციელდა მოუმზადებლად, ნაჩქარევად, რთულ კრიმინოგენურ და პოლიტიკურ სიტუაციაში, რამაც გამოიწვია მიუტკეველები შეცდომები. პირველ ყოვლისა, ეს იყო ყოველად გაუმართლებელი ქმედება მსხვილი კონცენტრირებული საწარმოების დაშლისა და მათ ადგილზე წვრილგლეხური ნატურალური მეურნეობების აღმოცენებისა, რამაც გარკვეულ წილად შეცვალა სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა. მევეთრად შემცირდა მოსავლიანობა და პროდუქტიულობა, გაიზარდა დანაკარგები და დაეცა პროდუქციის წარმოების დონე, გაუარესდა სოფლის მეურნეობის ეკონომიკური მდგომარეობა, რაც ბუნებრივია გამოწვეული იყო საბაზრო ეკონომიკისაკენ მიმავალი გზის ეკონომიკური სტრატეგიის არჩევაში დაშვებული შეცდომებით.

რეფორმის დასაწყისში ქვეყანაში არსებულ 1582 სოფლის მეურნეობის საწარმოდან ლიკვიდირებულ იქნა 353. რეორგანიზებული და მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნდა დაახლოებით 1072 საწარმო, აქედან რეგისტრირებული იყო მხოლოდ 689 საწარმო, ანუ საწარმოთა საერთო რაოდენობის 60,2%. 2007 წლის მიხედვით რეგისტრირებულ სუბიექტთა რაოდენობამ “სოფლის მეურნეობა, ნადირობა, სატყეო მეურნეობა”-ში შეადგინა 3680 ერთეული. ამჟამად ყველაზე მეტად გავრცელებულია გლეხური და ფერმერული მეურნეობები, რომელთა რიცხვი მილიონს აღემატება. ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებული 2767.3 ათასი კაციდან სოფლის მეურნეობის წილად მოდიოდა 685 ათასი კაცი, ანუ 25,2%, 2007 წლისათვის 1 704,3 ათასი დასაქმებულთან 910,1 ათასი, ანუ 53,4% იყო. მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში “სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა, ნადირობა, თევზჭერა” 2007 წლისათვის 9,2 პროცენტული წილით, ხოლო 2009 წლისათვის - 8,3 %-ით ხასიათდებოდა. (იხ. ცხრილი 1)

2007 წლისათვის სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის მოცულობამ შეადგინა 2250,9 მლნ. ლარი, ხოლო 2009 წლისათვის - 2117,4 მლნ. ლარი. წარმოების მოცულობა 2007-2009 წლებში, მიუხედავად ფასების ზრდისა, შემცირდა 5.9%-ით. მეცენარეობის პროდუქცია 1051.7 მლნ. ლარიდან შემცირდა 927,5 მლნ. ლარამდე, ანუ კლებამ შეადგინა 11.8%, ხოლო მეცხოველეობაში წარმოების მოცულობა შემცირდა 7.4 მლნ. ლარით, ანუ 0.6 %-ით (იხ. ცხრილი 2)

ცხრილი 1

მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა (%)

	2006	2007	2008	2009
სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა, ნადირობა, თევზჭერა.	11.2	9.2	8.1	8.3
მრეწველობა	14.8	14.2	13.4	13.2
მშენებლობა	6.9	6.7	5.5	5.3
ვაჭრობა	13.6	12.8	14.1	12.4
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	11.	10.4	9.5	10.3
სხვა	41.96	46.7	49.4	50.5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2009. სტატისტიკური კრებული, თბ., 2010 გვ., 17.

მშპ-ის რეალურმა ზრდამ 2010 წლისათვის წინა წელთან შედარებით 6.4% შეადგინა, ხოლო დეფლატორის ზრდა 8.7%-ით დაფიქსირდა. მშპ “სოფლის მეურნეობა, ნადირობა, სატყეო მეურნეობა, თევზჭერა”-ში 2009 წელს შეადგინა 1457,1 მლნ. ლარი, 2010 წელს-1518,3 მლნ. ლარი. აღნიშნული მაჩვენებელი 2009-2010 წლებში გაიზარდა 104,2 %-ი. მშპ-ს მოცულობამ მოსახლეობის ერთ სულზე იმავე პერიოდში შეადგინა 4685,6 ლარი, ანუ 2629 აშშ დოლარი, რაც 173.8 აშშ დოლარით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ჩვენი აზრით ეს ზრდა გამოწვეულია არა წარმოების მოცულობის, არამედ ფასების ზრდის შედეგად, რასაც ადასტურებს ზემოთ მოტანილი დეფლატორის მაჩვენებელი.

ცხრილი 2

**სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება
(მიმდინარე ფასები, მლნ. ლარი.)**

	2006	2007	2008	2009
სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება სულ	2134.2	2250.9	2202.9	2117.4
მემცენარეობა	911.3	1051.7	918.1	927.5
მეცხოველეობა	1165.3	1138.8	1227.6	1131.4
სასოფლო-სამეურნეო მომსახურება	57.6	60.4	57.2	58.5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2009. სტატისტიკური კრებული, თბ., 2010 გვ., 18.

ოჯახური მეურნეობები ძირითადად ფუნქციონირებს ეკონომიკის სამომხმარებლო სფეროში, ამასთან მას უფლება აქვს წარმოებული პროდუქცია გაყიდოს ბაზარზე. მაგრამ მათ მიერ რეალიზებული პროდუქციიდან მიღებული შემოსავალი, ძირითადად იხარჯება პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და ისინი ვერ ახერხებენ დამატებითი მოგების მიღებას და, შესაბამისად, წარმოების მოცულობის გაზრდას. წარმოების მოცულობით ოჯახური მეურნეობები ვერ ჯდება კლასიკური ფერმერული მეურნეობის ნორმაში. მას ბაზარზე მხოლოდ მცირეოდენი ნამატი პროდუქტის გატანა შეუძლია, ვინაიდან მწირია მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ოჯახური მეურნეობების გვერდით სახელმწიფო მიწებზე საქმიანობენ არენდატორები (რომლებსაც პროდუქციის დიდი ნაწილი გააქვთ ბაზარზე) და დიდი ფართობების მფლობელი ყოფილი საკანონმდებლო და ხელისუფლების მაღალჩინოსნები, რომლებიც მიწის მეორად იჯარით გაცემას აწარმოებენ ან იყენებენ დაქირავებულ შრომას. ამავე კატეგორიას მიეკუთვნებიან კაპიტალის მფლობელთა ის ნაწილი, რომლებიც კაპიტალს სოფლის მეურნეობაში აბანდებენ. ისინი ძირითადად სასაქონლო პროდუქციას აწარმოებენ და ექსპორტშიც ყველაზე მეტი ხვედრითი წილით ხასიათდებიან.

ბოლო პერიოდში სულ უფრონ მცირდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი ოჯახური მეურნეობების ფულად შემოსავლებში. თუ 2004 წლისათვის აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 14,7%, 2007 წლისათვის შეადგინა - 7.8%, ხოლო 2009 წლისათვის კი კიდევ უფრო შემცირდა და მხოლოდ 6% შეადგინა. (იხ. ცხრილი 3)

ცხრილი 3
სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების
წილი ოჯახური მეურნეობების ფულად შემოსავლებში (%)

წლები	2006	2007	2008	2009
ხვედითი წილი	10.6	7.8	6.7	6.0

ქვეყანაში დაბალია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფა. საქართველოს მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფა სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული იმპორტირებულ პროდუქტებზე. ბაზარი ძირითადად გაჯერებულია გარედან შემოტანილი დაბალი ხარისხის, ნაკლებ საიმედო საკვები პროდუქტებით. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2009 წელს საქართველოს ურთიერთობები ჰქონდა მსოფლიოს 150-ზე მეტ ქვეყანასთან და საგარეო სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 5500,1 მლნ. აშშ დოლარი, რაც 2005 წელის მაჩვენებელს აღემატებოდა 2144,7 მლნ. დოლარით ანუ 63.9%-ით. ასეთი კავშირების მიუხედავად, საქართველო ცალმხრივად ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკასთან. დღეისათვის ექსპორტი 5-ჯერ ჩამორჩება იმპორტს და შეადგენს საგარეო სავაჭრო ბრუნვის მხოლოდ 19.2%-ს, ხოლო დანარჩენი 80,8 % იმპორტზე მოდის. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს იმპორტის საერთო მოცულობაში უჭირავს დაახლოებით 34,9 %, ხოლო ექსპორტის საერთო მოცულობაში 39,7%. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმპორტირების კუთხით საქართველო გარე სამყაროსთან მეტწილად დაკავშირებულია ისეთი სტრატეგიული, სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქციით, როგორცაა ხორბალი. ექსპორტის პოზიციიდან კი ჩვენი ქვეყანის პროდუქცია, როგორცაა ღვინო, ხილი, ციტრუსი და ა. შ. არაა სტრატეგიული, პირველადი, აუცილებელი მოხმარების.

საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში სოფლის მეურნეობას წამყვანი როლი ეკისრება. მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში კი თანდათანობით კლებულობს (2009 წლის მონაცემებით შეადგინა 8,3%, მაშინ როდესაც გასული საუკუნის 80-იან წლებში 25 %-ს შეადგენდა).

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მისაღწევად აუცილებელია შრომის მწარმოებლურობის მკვეთრი გადიდება, წარმოებული პროდუქციის მოცულობის გაზრდა, მისი თვითღირებულების შემცირება და მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლება. საჭიროა სამამულო წარმოების ისე განვითარება, რომ მოხდეს იმპორტირებული პროდუქციის სამამულო წარმოების პროდუქციით ჩანაცვლება, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას, გაზრდის მათ შემოსავლებს, მოთხოვნებსა და კეთილდღეობის დონეს, ქვეყანა ნაკლებად იქნება დამოკიდებული ევროგენურ ფაქტორებზე და მოგვარდება მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა.

ანალიზი ცხადყოფს, რომ სრულიად შესაძლებელია მოთხოვნილების დაკმაყოფილება ძირითად საკვებ პროდუქტებზე ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო რესურსებით. მთავარია თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ფონზე, შევძლოთ ქვეყნის მიწის ფონდის სრულად, რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების ორგანიზება, დავსახოთ კონკრე-

ტული გზები რესურსული პოტენციალის სამეურნეო ბრუნვაში ჩართვის, მიწის პროდუქტიულობის მაქსიმიზაციის მიღწევისა და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისათვის.

თანამედროვე ეტაპზე აუცილებლად მიგვაჩნია წვრილი, დაქსაქსული ფორმის გლეხური მეურნეობები გარდაიქმნას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებად, რაც მათ საშუალებას მისცემს მოძლიერდნენ და აიმაღლონ კეთილდღეობა, ისარგებლონ მსხვილი მეურნეობის უპირატესობით; გამოიყენონ კრედიტი თითქმის იმავე პირობებით, როგორც კომერციულმა საწარმოებმა, შემოიტანოს და წარმოებაში დანერგოს პროგრესული ტექნოლოგიები, დაასაქმოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე შრომითი რესურსები, უზრუნველყოს უხვმოსავლიანი კულტურებისა და მაღალპროდუქტიული ცხოველური ჯიშების გამრავლება, მცენარეთა და ცხოველთა დაცვა, აწარმოოს უხვი, კონკურენტუნარიანი პროდუქცია და გაყიდოს მაღალი ფასით, როგორც ამას აკეთებენ მსხვილი საწარმოები. კოოპერაციის სათავეში დგას დამოუკიდებელი მეწარმე, რომელიც თავისი რისკით უძღვება მეურნეობას, კოოპერაცია არ უქმნის საფრთხეს გლეხური მეურნეობის დამოუკიდებლობას, პირიქით ზრდის მეურნეობის ეფექტიანობას და ამაღლებს მის ტექნიკურ დონეს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისა და სოფლის აღორძინების უმნიშვნელოვანესი პირობაა ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებული სისტემა, მისი გეგმაზომიერი, თანმიმდევრული აღორძინება. ამ სფერომ უნდა უზრუნველყოს სოფლის იერსახის შეცვლა, მისი გალამაზება და ხალხის ყოფითი პირობების მიახლოება მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების დონეებთან, რაც სოფლად ახალგაზრდობის დასაქმება-დამაგრებას და შრომითი რესურსების პრობლემის ოპტიმალურად გადაჭრას შეუწყობს ხელს.